

# სკოლებში სასწავლო წერი დაიწყო



საქართველოს  
ზოგადსაგანმანათლებლო  
დაწესებულებებში სასწავლო წერი  
დაიწყო. სწავლის დაწყების პირველ  
დღეს ყველა საჯარო სკოლაში  
საქართველოს ჰიმნი გაჟღერდა და  
დროშა აღიმართა.

განათლების სამინისტროს [ინფორმაციით](#), ახალ სასწავლო წერს სკოლები მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდებიან. ამასთან, განათლების სამინისტროს [ცნობით](#), გაუმჯობესებული ეპიდვითარების გათვალისწინებით, სკოლებისთვის განახლებული რეკომენდაციები შემუშავდა.

საქართველოს სკოლებში პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით 632 726 მოსწავლე ისწავლის. 2022-2023 სასწავლო წლისთვის საქართველოს სკოლებში ქვეყნის მასშტაბით ჯამში 55 717 პირველკლასელი დაიწყებს სწავლას, მათ შორის, 1 868 ბავშვი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველკლასელთა რეგისტრაციის წესში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე ჩაირიცხა.



დღესვე სააღმზრდელი პროცესი დაიწყო ბაგა-ბაღებში.



